ოქმი:**ო37.37222091**
თარიღი:**28/07/2022**

ოქმი # 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2022 წელი, 25 ივლისი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. აროშიძე, მ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, დ. ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარე, დ.დარჩია, მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი დამატებითი საკითხი: „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე." დღის წესრიგი დამატებით საკითხთან ერთად დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

2. ქ.ოზურგეთში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ.N26.26.40.086) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“-სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 2022 წლის 18 ივლისის კორესპოდენციის განხილვისა და შემდგომი პროცედურის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

საკრებულოში დამატებითი დოკუმენტების შემოსვლისა და დარგობრივ

კომისიაში (დ. ჭაკნელიძე) შესწავლის შემდეგ, განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომაზე საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

3. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე."

მომხსენებელი: დავით დარჩია

საკითხი განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას (ბ. თოიძე), შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვიტეს:

1. დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი, განსახილველად და დასამტკიცებლად შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. N2 საკითხი საკრებულოში დამატებითი დოკუმენტების შემოსვლისა და დარგობრივ კომისიაში (დ. ჭაკნელიძე) შესწავლის შემდეგ, განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომაზე საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

3. N3 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (ბ. თოიძე).

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი